



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა
საკვები პროდუქტების წარმოება - გადამუშავება და სამაცივრო მოწყობილობები,

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
01-02 აპრილი 2021 წ

საბოლოო დასკვნის წარდგენის თარიღი
15 ივნისი 2021 წ

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საკვები პროდუქტების წარმოება გადამუშავება და სამაცივრო მოწყობილობები
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ინჟინერიის ბაკალავრი სასურსათო ტექნოლოგიაში
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	სურსათის გადამამუშავება 0721
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 24 სექტემბრის № 426 გადაწყვეტილება

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი,) უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლევან გულუა, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, საქართველო
--	---

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქეთევან კინწურაშვილი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანა ხითარიშვილი, დამოუკიდებელი ექსპერტი, (მევენახეობა მეღვინეობის სპეციალისტი), საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლანა ბოკუჩავა, ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის საბჭოსა და აკადემიურ საბჭოზე, აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 24 სექტემბრის № 426 გადაწყვეტილებით, დამტკიცდა საგანმანათლებლო პროგრამა „კვების ინდუსტრიის ინჟინერია და ტექნოლოგიები“, ხოლო სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიების პროგრამაში, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 24 სექტემბრის № 424 გადაწყვეტილებით, მოდულის სახით ჩართული იყო „სამაცივრო ტექნიკა და ტექნოლოგია“. 2020 წელს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა პროგრამა წარადგინა რეაკრედიტაციისთვის გარკვეული ცვლილებებით. პროგრამა მოიცავს სავალდებულო და თავისუფალ კომპონენტებს, სავალდებულო კომპონენტები შედგება ძირითადი და არჩევითი სასწავლო კურსებისაგან. ძირითადი სასწავლო კურსების ფარგლებში სტუდენტი სწავლობს ზოგად ტექნიკურ საგნებს, აქვს უცხოური ენის და თავისუფალი ჰუმანიტარული კურსების არჩევის საშუალება. პროგრამის ფარგლებში სავალდებულოა საწარმოო პრაქტიკის გავლა და საბაკალავრო ნაშრომის შესრულება. პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 17 პროფესორი, 17 ასოცირებული პროფესორი და 3 ასისტენტ პროფესორი. სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა შეადგენს 39-ს.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, შეფასების პროცესი განხორციელდა დისტანციურად, პლათფორმა ZOOM-ის გამოყენებით 2021 წლის 1 აპრილს, ხოლო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება განხორციელდა დაწესებულებაში ადგილზე ვიზიტით, 2021 წლის 2 აპრილს. პროგრამის შეფასების დროს განხორციელდა ინტერვიუების პროცესი უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან,

კუსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან და აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან. ვიზიტის მეორე დღეს ადგილზე შემოწმდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ ბიბლიოთეკა, საგანმანათლებლო რესურსები, აუდიოტორიები და ლაბორატორიული აღჭურვილობა. ვიზიტის დროს ასევე შემოწმდა პროგრამის შინაარსი.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

- სტანდარტი 1 - არ არის შესაბამისობაში. პროგრამის მიზანი არის სასურსათო ტექნოლოგიის ბაკალავრის მომზადება, თუმცა სწავლების შედეგები შეესაბამება ინჟინერ-მექანიკოსის ბაკალავრის კვალიფიკაციას.
- სტანდარტი 2 - არ არის შესაბამისობაში. პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, და კურიკულუმი ვერ უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.
- სტანდარტი 3 - შესაბამისობაშია. პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას,
- სტანდარტი 4 - არ არის შესაბამისობაში. არ არის საკმარისი ადამიანური რესურსი სურსათის ტექნოლოგიის კვალიფიკაციით, არ არის ან გამოუყენებელია ბიოქიმიური და მიკრობიოლოგიური ლაბორატორიები. ამიტომ არსებული რესურსები ვერ უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.
- სტანდარტი 5 - არ არის შესაბამისობაში. თუმცა, სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, მაგრამ მოპოვებული ინფორმაცია და გარე შეფასებები არარელევანტურია, აცდენილია პროგრამის მიზნებიდან.

- **რეკომენდაციები**

- წარმოდგენილი პროგრამის შინაარსი და კურიკულუმი მოვიდეს შესაბამისობაში მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
- წარმოდგენილი პროგრამის კურიკულუმიდან ამოღებულ იქნას საგნები, რომლებიც არ არის სურსათის ტექნოლოგიის ბაკალავრის კვალიფიკაციის შესაბამისი.
- პროგრამაში წარმოდგენილ იქნას საგნები, რომლებიც აუცილებელია ინჟინერიის ბაკალავრი სასურსათო ტექნოლოგიაში კვალიფიკაციის მინიჭებისთვის.
- პროგრამის შინაარსი მოვიდეს შესაბამისობაში მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
- გათვალისწინებულ იქნას დამსაქმებლების მოსაზრებები.
- პროგრამიდან ამოღებულ უნდა იქნას ისეთი საგნები, როგორცაა გამოყენებითი მექანიკა, ელექტროტექნიკა და ელექტროტექნიკის საფუძვლები, ტექნიკური მექანიკა, კვებისა და სამაცივრო საწარმოთა მოწყობილობები, მარცვლეულისა და კომბინირებული საკვების გადამამუშავებელი მოწყობილობები, მაცივარ-მანქანების დაპროექტება, მანქანა დანადგარების მხატვრული კონსტრუირება, მიკროპროცესორული მართვა კვების ინდუსტრიაში, ჰაერის ტექნოლოგიური კონდიცირება, მობილური სამაცივრე სისტემები და სხვ მსგავსი.
- სასწავლო პროგრამაში აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ისეთი საგნები, როგორცაა, ზოგადი ბიოქიმია, კვების პროდუქტების ბიოქიმია, ორგანული

ქიმია, ზოგადი ბიოლოგია, მიკრობიოლოგია, კვების პროდუქტები მიკრობიოლოგია, ბიოტექნოლოგია და სხვ მსგავსი.

- საწარმოო პრაქტიკის სილაბუსში გათვალისწინებულ იქნას ისეთი აქტივობები, რაც განაპირობებს სურსათის ტექნოლოგისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების შეძენას, მაგალითად, მონაწილეობა სურსათის ნედლეულის გადამუშავების ტექნოლოგიურ პროცესებში, ტექნოლოგიური რეჟიმების მართვაში, ხარისხის ბიოქიმიურ და მიკრობიოლოგიურ კონტროლში და სხვ.
 - ლაბორატორიულ მეცადინეობებს დაემატოს ორგანული ქიმიის, ბიოქიმიისა და მიკრობიოლოგიის ლაბორატორიული მეცადინეობები.
 - აუცილებელია დამატებით მოწვეულ იქნას შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი მისანიჭებელი კვალიფიკაციისათვის.
 - აუცილებელია პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის გამოყოფილი ბიუჯეტის გაზრდა, ასევე სასწავლო პროგრამის შესაბამისად ისეთ საერთაშორისო უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა და პერსონალის შესაბამისი სტაჟირების დაგეგმვა, რომელიც შეესაბამება სასწავლო პროგრამის შინაარსს.
 - აუცილებელია სილაბუსებში და სასწავლო პროგრამაში აღნიშნული იყოს ბიოქიმიური, ქიმიური და მიკრობიოლოგიური ლაბორატორიული სამუშაოებისათვის განკუთვნილი უნივერსიტეტის შენობა/ნაგებობა; რადგანაც ვიზიტისას დათვალიერდა მხოლოდ პრაქტიკული სამუშაოებისათვის განკუთვნილი სამაცივრე დანადგარების საცდელი ოთახი. მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო პროგრამა გამოიყენებს სხვა შენობაში არსებულ ლაბორატორიას, უნივერსიტეტის სიდიდის გათვალისწინებით აუცილებელია ცალკე შეიქმნას ბიოქიმიური, მიკრობიოლოგიური ლაბორატორია აღნიშნული სასწავლო პროგრამისათვის.
 - სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელია გამოყოფილი ბიუჯეტის გაზრდა პროგრამის განვითარებისათვის, როგორცაა ლაბორატორიული აღჭურვილობის შეძენა, საჭირო ქიმიური რეაგენტები, პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის საჭირო ფინანსური რესურსები.
 - განხორციელდეს გარე შეფასება მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისად.
 - უნივერსიტეტმა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებმა უნდა განახორციელონ სრული მონიტორინგი სასწავლო პროგრამების და მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისობაზე; ჩატარდეს ყველა ის საჭირო ტრენინგი სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელებისა და პერსონალისათვის რომელიც ჩართულია სასწავლო პროგრამის შემუშავების პროცესში.
-
- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

 - საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამის „საკვები პროდუქტების წარმოება-გადამუშავება და სამაცივრო მოწყობილობები“ პროგრამის მიზანია: ინჟინერიის ბაკალავრს სასურსათო ტექნოლოგიაში მისცეს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები საკვები პროდუქტების და სასმელების წარმოება-გადამუშავებასა და დისტრიბუციის დროს გამოყენებული მოწყობილობების და მათზე მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესების შესახებ; უზრუნველყოს დარგის საწარმოებში მანქანა-დანადგარებისა და სამაცივრო მოწყობილობების შერჩევის, დაპროექტების, ექსპლუატაციისა და სარემონტო სამუშაოების წარმართვისათვის შრომის დაცვისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების ნორმების გამოყენება; განიხილავს საკვები პროდუქტების ხარისხის საერთაშორისო ნორმებისა და ტენდენციების რეგულირების საკითხებს. იაზრებს წარმოების ეკონომიკისა და მენეჯმენტის საკითხებსა და ბიზნესის წარმართვის უახლეს ტენდენციებს.

პროგრამის მომზადებისას გათვალისწინებულია ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის ტენდენციები და დარგის სპეციალისტების/დამსაქმებლების მოთხოვნები. პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზანი, მაგრამ ის შესაბამისობაში არ მოდის პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კურსების ათვისებით მიღწეულ სწავლის შედეგებთან. სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის კურსკულუმში წარმოდგენილი სასწავლო კურსების ერთობლიობით ვერ მიიღწევა ისეთი სპეციალისტის მომზადება, რომლის კვალიფიკაციაც შეიძლება იყოს ინჟინერიის ბაკალავრი სასურსათო ტექნოლოგიაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისია <http://gtu.ge/AboutStu/Mission.php>
- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2018-2024 წწ <https://gtu.ge/AboutStu/strategic-plan.php>
- საბაკალავრო პროგრამა „საკვები პროდუქტების წარმოება-გადამუშავება და სამაცივრო მოწყობილობები“

რეკომენდაციები:

წარმოდგენილი პროგრამის შინაარსი, კურიკულუმი მოვიდეს შესაბამისობაში

მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის - არ არის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები არ არის შესაბამისობაში „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №695 ბრძანებით განსაზღვრულ (ბაკალავრიატის საფეხურის) მეექვსე დონის აღმწერთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგები არ აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობებს, რომელიც უნდა გააჩნდეს საინჟინრო საქმის ბაკალავრს სასურსათო ტექნოლოგიაში, რადგან პროგრამის კურსკულუმში მოცემულია ისეთი

სასწავლო კურსები, რომლებიც საბოლოოდ ვერ უზრუნველყოფენ ისეთი სწავლის შედეგის მიღწევას, რომელიც შესაბამისობაში იქნება პროგრამით გათვალისწინებულ მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. პროგრამაში არ არის წარმოდგენილი ისეთი აუცილებელი სასწავლო კურსები, რომელთა სწავლის შედეგები კურსდამთავრებულს მნიშვნეულ კომპეტენციას, შეძლოს საკვებიპროდუქტების და სასმელების წარმოება-გადამუშავება.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს, მაგრამ შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად გაჭირდება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის სწავლის შედეგები;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის მიზნები;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წარმოდგენილი პროგრამის კურიკულუმიდან ამოღებულ იქნას საგნები, რომლებიც არ არის სურსათის ტექნოლოგიის ბაკალვრის კვალიფიკაციის შესაბამისი.

პროგრამაში წარმოდგენილ იქნას საგნები, რომლებიც აუცილებელია ინჟინერიის ბაკალავრი სასურსათო ტექნოლოგიაში კვალიფიკაციის მინიჭებისთვის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის - არ არის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა				X

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აღნიშნულ პროგრამაზე ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მფლობელს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. პროგრამის დაშვების წინაპირობები ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის, რასაც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია და ფაკულტეტის ვებგვერდზე განთავსებული პროგრამა. დაინტერესებული პირებისათვის შესაძლებელია შიდა და გარე მობილობის წესით პროგრამაზე ჩარიცხვა. შიდა მობილობის ვადები და პროცედურები დგინდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით და ინფორმაცია მოცემულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ
- ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდება” – <https://gtu.ge/AboutStu/regulation.php>
- სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 17 ივნისის №482 დადგენილება „სტუ-ს სტუდენტთა კონტინენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქცია”
- https://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/st_kion_mob_inst_91019_SD.pdf
- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „საკვები პროდუქტების წარმოება-გადამუშავება და სამაცივრო მოწყობილობები“
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდი <https://gtu.ge/>
- სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ვებგვერდი <https://gtu.ge/Stmm/>

რეკომენდაციები: არ არის

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის - არ არის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე მიზნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა შედგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერის (ECTS) სისტემით. 1 კრედიტი მოიცავს 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. კრედიტების განაწილება წარმოდგენილია სასწავლო გეგმაში. სტუდენტმა ინჟინერიის ბაკალავრი სასურსათო ტექნოლოგიაში აკადემიური ხარისხის მინიჭებისთვის უნდა დააგროვოს არანაკლებ 240 კრედიტი. საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსებისგან და თავისუფალი კომპონენტებისგან. ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები წარმოდგენილია სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების სახით: სავალდებულო სასწავლო კურსების 195 კრედიტის, პრაქტიკის 5 კრედიტის, საბაკალავრო ნაშრომი 10 კრედიტის ოდენობით, ხოლო სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები კი 15 კრედიტის ოდენობით. პროგრამა ასევე მოიცავს თავისუფალ კომპონენტებს 15 კრედიტის მოცულობით. თუმცა, პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა არ არის შესაბამისობაში მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან, ინჟინერიის ბაკალავრი სურსათის ტექნოლოგიაში, კოდით 0721. ეს დეტალური სფერო „შეისწავლის საკვები პროდუქტებისა და სასმელების გადამამუშავება/წარმოებასა და შეფუთვისას, ასევე საკვები პროდუქტების წარმოებისა და დისტრიბუციისას გამოყენებულ მოწყობილობებსა და პროცედურებს“. ჩვენი აზრით, საკვები პროდუქტების წარმოება აუცილებლად გულისხმობს არა მარტო მექანიკურ/ფიზიკურ პროცესებს, არამედ ბიოქიმიურ და მიკრობიოლოგიურ პროცესებსაც. ჩვენს მოსაზრებას ამყარებს ის გამოხმაურებებიც, რაც მოცემულ პროგრამაზე არის წარმოდგენილი. მაგალითად, საქართველოს სამაცივრო და კრიოგენული ტექნიკის და ჰაერის კონდიციონირების ინჟინერთა ასოციაციის გამოხმაურებაში ვკითხულობთ, რომ უაღრესად მნიშვნელოვანია სამაცივრო ტექნიკის სპეციალისტების საბაკალავრო პროგრამის განხორციელება.

შპს „ქართუ უნივერსალის“ გამოხმაურებაში აღნიშნულია, რომ პროგრამის ძირითად მიზანს უნდა წარმოადგენდეს კურსდამთავრებულს შესძინოს ცოდნა საკვები პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოს ტექნოლოგიური მოწყობილობების მართვის, სერვისის, რემონტისა და სიცივით დამუშავების მიმართულებით. ს/ს სარაჯიშვილის გამოხმაურებაშიც პრაქტიკულად იგივე აზრია გადმოცემული: „პროგრამის ძირითად მიზანს უნდა წარმოადგენდეს კურსდამთავრებულს შესძინოს ცოდნა საკვები პროდუქტების გადამამუშავებელ საწარმოს ტექნოლოგიური მოწყობილობების მართვის, სერვისის, რემონტის, ცივად შენახვის, ტრანსპორტირებისა და ხარისხის მიმართულებით“. ზუსტად იგივე წერია შპს კოკა-კოლასა და ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გამოხმაურებებში. ასე, რომ ყველა გამოხმაურებაში ხაზგასმულია კვების ტექნოლოგიაში გამოყენებული მანქანების რემონტისა და სერვისის უნარის მქონე სპეციალისტების მოზადების მიზანშეწონილობა, რაც არ წარმოადგენს სურსათის ტექნოლოგიის კომპეტენციას. ჩვენი აზრით, ეს ინჟინერ-მექანიკოსის კომპეტენციაა. ამ მოსაზრებას ადასტურებს ინტერვიუ დამსაქმებლებთან. კერძოდ, ყველა დამსაქმებელმა აღნიშნა, რომ ამ პროგრამიდან ისინი ელოდებიან ინჟინერ-მექანიკოსის კომპეტენციის მქონე სპეციალისტს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- ვებგვერდი;
- პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის მტკიცებულებები;
- გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- პროგრამის შინაარსი მოვიდეს შესაბამისობაში მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან
- გათვალისწინებულ იქნას დამსაქმებლების მოსაზრებები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ არის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- სწავლის შედეგები მოცემული პროგრამის დასრულების შემდეგ გულისხმობს ისეთი კომპეტენციის განვითარებას, როგორცაა კვების ინდუსტრიაში გამოყენებული მანქანა-დანადგარებისა და სიცივის მიღების მანქანების კონსტრუქციული თავისებურებების ცოდნა, მათი მიმსახურების და სერვისის უნარი, ტექნიკური დაპროექტების ძირითად პრინციპები და სხვა მსგავსი უნარ-ჩვევები და ცოდნა. თუმცა, სწავლის შედეგები არ მოიცავს სურსათის ტექნოლოგიისათვის აუცილებელი კომპეტენციის განვითარების შესაძლებლობას. მაგალითად, ბიქიმიური და მიკრობიოლოგიური პროცესების პრინციპების ცოდნასა და მართვის უნარს.
- გარკვეული საგნები, ჩვენი ღრმა რწმენით, განეკუთვნება ინჟინერ-მექანიკოსის და არა სურსათის ტექნოლოგის კომპეტენციას. მაგალითად საგნის „ტექნიკური მექანიკა“ მიზანია, „მექანიზმებისა და მანქანა დანადგარების, ზოგადი დანიშნულების დეტალებისა და კვანძების მუშაობისუნარიანობის ძირითადი კრიტერიუმების, აგრეთვე გაანგარიშება და დაგეგმარების მეთოდების, დაუშლელი და დასაშლელი შეერთებების, მექანიკური გადაცემების გავრცელებული სახეების შესწავლა“. ეს კი არ შედის სურსათის ტექნოლოგის ბაკალავრის კომპეტენციაში.
- კურსდამთავრებულების ნაწილმა ჩვენთან ინტერვიუში აღნიშნა, რომ ისინი მოტყუებული აღმოჩნდნენ, რადგან ეგონათ რომ მიიღებდნენ კვების ტექნოლოგის კვალიფიკაციას, თუმცა დასაქმების პროცესში აღმოაჩინეს, რომ ისინი ვერ აკმაყოფილებენ დამსაქმებლის მიერ კვების ტექნოლოგიისადმი წაყენებულ მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- კურიკულუმის რუკა;
- სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები;

- გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- პროგრამიდან უნდა ამოღებულ იქნას ისეთი საგნები, როგორცაა გამოყენებითი მექანიკა, ელექტროტექნიკა და ელექტროტექნიკის საფუძვლები, ტექნიკური მექანიკა, კვებისა და სამაცივრო საწარმოთა მოწყობილობები, მარცვლეულისა და კომბინირებული საკვების გადამამუშავებელი მოწყობილობები, მაცივარ-მანქანები დაპროექტება, მანქანა დანადგარების მხატვრული კონსტრუირება, მიკროპროცესორული მართვა კვების ინდუსტრიაში, ჰაერის ტექნოლოგიური კონდიცირება, მობილური სამაცივრე სისტემები და სხვ მსგავსი.
- სასწავლო პროგრამაში აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ისეთი საგნები, როგორცაა, ზოგადი ბიოქიმია, კვების პროდუქტების ბიოქიმია, ორგანული ქიმია, ზოგადი ბიოლოგია, მიკრობიოლოგია, კვების პროდუქტები მიკრობიოლოგია, ბიოტექნოლოგია და სხვა მსგავსი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ არის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საწარმოო პრაქტიკის შედეგად სტუდენტი ღებულობს შემდეგ კომპეტენციას:
აღწერს წარმოებაში არსებული მანქანა-დანადგარებსა და მათზე მიმდინარე ტექნოლოგიურ პროცესებს;
აანალიზებს ხელოვნური სიცივის მიღების, მისი უშუალო გამოყენების ხერხებს, კანონებს და პრინციპებს; ობიექტზე მომუშავეთა შრომის პირობებს; მავნე და საშიშ საწარმოო ფაქტორებს;
განსაზღვრავს საწარმოთა ტექნოლოგიური დაპროექტების ძირითად პრინციპებს: ეკონომიკურ, სანიტარულ მაჩვენებლებს;
იხილავს სურსათის გადამამუშავებელ და ცივად შესანახი ტექნოლოგიური მოწყობილობების კონსტრუქციულ აგებულებას, კინემატიკური და ძალოვანი გაანგარიშების მეთოდებს;
იაზრებს მითითებებით საწარმოში არსებული მანქანა-დანადგარების მონტაჟის ტექნიკური მომსახურების და რემონტის ჩატარებისათვის სქემებს; მოწყობილობების მუშაობის ტექნიკურ შესაძლებლობებს.
როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაშიც პრაქტიკის შედეგად სტუდენტი ვერ ღებულობს ისეთ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, რაც საჭიროა ტექნოლოგიური პროცესების წარმართვისათვის. ის მხოლოდ ინჟინერ-მექანიკოსისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს ივითარებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შესაბამისი ხელშეკრულებები/მემორანდუმები ეკონომიკურ აგენტებთან და პრაქტიკის ობიექტებთან;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

საწარმოო პრაქტიკის სილაბუსში გათვალისწინებულ იქნას ისეთი აქტივობები, რაც განაპირობებს სურსათის ტექნოლოგისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების შეძენას, მაგალითად მონაწილეობა სურსათის ნედლეულის გადამამუშავების ტექნოლოგიურ პროცესებში, ტექნოლოგიური რეჟიმების მართვაში, ხარისხის ბიოქიმიურ და მიკრობიოლოგიურ კონტროლში და სხვ.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ არის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

<ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> <u>არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</u>

<p>2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები</p>
<p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამის სასწავლო კომპონენტების განსახორციელებლად გამოიყენება: ლექცია, სემინარი, პრაქტიკული, ლაბორატორიული მუშაობა, პრაქტიკა, დამოუკიდებელი მუშაობა, კონსულტაცია, საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობა. სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში) მოცემულია სწავლება - სწავლის მეთოდების შესაბამისი აქტივობები: დისკუსია/დებატები თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება; ჯგუფური (collaborative) მუშაობა შემთხვევების შესწავლა (Case study); გონებრივი იერიში (Brain storming) როლური და სიტუაციური თამაშები; დემონსტრირება; ინდუქცია; დედუქცია; ანალიზი სინთეზი; ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი; წერითი მუშაობა; ახსნა-განმარტებითი; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია.</p> <p>თუმცა ლაბორატორიულ მეცადინეობებში არ არის გათვალისწინებული ორგანული ქიმიის, მიკრობიოლოგიის, ბიოქიმიის ლაბორატორიული სამუშაოები.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ სწავლება-სწავლის მეთოდები; ▪ ინდივიდუალური გეგმები; ▪ თვითშეფასების ანგარიში <p>ინტერვიუს შედეგები.</p>

<p>რეკომენდაციები:</p> <p>ლაბორატორიულ მეცადინეობებს დაემატოს ორგანული ქიმიის, ბიოქიმიისა და მიკრობიოლოგიის ლაბორატორიული მეცადინეობები.</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არ არის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> <u>ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u></p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.6. სტუდენტების შეფასება</p>
<p>სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სტუდენტის ცოდნის შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.</p> <p>დადებითი შეფასებებია:</p> <p>(A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;</p> <p>(B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;</p> <p>(C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;</p> <p>(D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;</p> <p>(E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.</p> <p>უარყოფითი შეფასებებია:</p> <p>(FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს</p>

<p>ჩასაზარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;</p> <p>(F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. უნივერსიტეტში არსებობს შეფასების გასაჩივრების შესაბამისი წესი. სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრებისა და საპატიო მიზეზით გაცდენილი შეფასების/გამოცდის აღდგენის წესები ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის, უნივერსიტეტის, საგამოცდო ცენტრის და ფაკულტეტის ვებ გვერდების საშუალებით.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ შეფასების სისტემის მარეგულირებელი დოკუმენტი; ▪ შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები; ▪ ელექტრონული პორტალი;
<p>რეკომენდაციები: არ არის</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არ არის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

